Eastern Partnership
Civil Society Forum
Georgian National Platform

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიზანია ხელი შეუწყოს პარტნიორი ექვსი ქვეყნის სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციების განვითარებას, მათ შორის თანამშრომლობას, საჯარო დაწესებულებებთან დიალოგს, აღმოსავლეთის პარტნიორობის მიზნების მიღწევას პარტნიორ ექვს ქვეყანაში: აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ბელორუსი, მოლდავეთი და უკრაინა.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქმიანობა მოიცავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ხუთ თემატურ პლატფორმას და, შესაბამისად, ხუთ სამუშაო ჯგუფს:

1. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა

2. ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა;

3. გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება;

4. ხალხთაშორისი კავშირების წახალისება.

5. სოციალური დიალოგი

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ვებ გვერდი: http://eap-csf.eu/ / Facebook: @EaP.Civil.Society.Forum / Twitter: @eapcsf

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის მისიაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონსოლიდაცია, დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია და მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

კოალიციის სტრატეგიული მიზნებია:

- ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე საჯარო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სფეროებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით;

- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წესდება, ეთიკის კოდექსი და წევრი ორგანიზაციები.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის ვებ გვერდი: www.eap-csf.ge

Facebook: EaP CSF Georgian National Platform

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის აქტიური წევრია ფორუმის დაარსების დღიდან, მათ შორის 2014 წელს ორგანიზაცია ასრულებდა პლატფორმის სამდივნოს ფუნქციას. **საია ჩართულია პლატფორმის 1-ელ და მე-5 სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.**

საკონტაქტო პირები: ირმა პავლიაშვილი - pavliashvili@gyla.ge (1-ლი სამუშაო ჯგუფი), მარიამ ოზაშვილი - mozashvili@gyla.ge (მე-5 სამუშაო ჯგუფი)